



# ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



# ლოგიკური მსჯელობა

A ტიპის ტესტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

## ამოცანა 1.

მოცემულია წინადადება:

*მხოლოდ არაავტორიზებულ სასწავლებლებს შეუძლიათ აბიტურიენტთა მიღება ეროვნული გამოცდების გარეშე.*

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ წინადადებიდან?

- (ა) მხოლოდ ავტორიზებულ სასწავლებლებს შეუძლიათ აბიტურიენტთა მიღება ეროვნული გამოცდებით.
- (ბ) თუ სასწავლებელი ავტორიზებულია, მაშინ მას არ შეუძლია აბიტურიენტთა მიღება ეროვნული გამოცდების გარეშე.
- (გ) არაავტორიზებულ სასწავლებლებს აბიტურიენტთა მიღება მხოლოდ ეროვნული გამოცდების გარეშე შეუძლიათ.
- (დ) თუ სასწავლებელი არ არის ავტორიზებული, მაშინ მას არ შეუძლია აბიტურიენტთა მიღება ეროვნული გამოცდების გარეშე.
- (ე) მხოლოდ ავტორიზებულ სასწავლებლებს შეუძლიათ აბიტურიენტთა მიღება ეროვნული გამოცდების გარეშე.

## ამოცანა 2.

სესიაზე სულ სამი მომხსენებელი – ალავიძე, ბალავაძე და გაბუნია – ერთმანეთის მიმდევრობით გამოვიდა თითო მოხსენებით. მომხსენებლებიდან ერთი იყო სოციოლოგი, ერთი – არქიტექტორი, ერთიც – ისტორიკოსი. ამ სესიის შესახებ ცნობილია, რომ:

- გაბუნია გამოვიდა ალავიძეზე ადრე.
- არქიტექტორი გამოვიდა სოციოლოგზე ადრე.
- ბალავაძე გამოვიდა ისტორიკოსზე ადრე.
- ალავიძე არ არის ისტორიკოსი.

ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

*შენიშვნა: იგულისხმება, რომ თითოეული მომხსენებელი მხოლოდ ერთი დარგის სპეციალისტია.*

- (ა) ალავიძე არქიტექტორია, ბალავაძე – სოციოლოგი.
- (ბ) ალავიძე სოციოლოგია, ბალავაძე – არქიტექტორი.
- (გ) ალავიძე არქიტექტორია, გაბუნია – ისტორიკოსი.
- (დ) ბალავაძე სოციოლოგია, გაბუნია – ისტორიკოსი.
- (ე) ბალავაძე ისტორიკოსია, გაბუნია – არქიტექტორი.

### ამოცანა 3.

მოცემულია დასკვნა:

- ავალონის რეგიონში არანაკლები რაოდენობის მოსავალი მოდის, ვიდრე კოლობის რეგიონში.

ჩამოთვლილთაგან რომლიდან გამომდინარეობს მოცემული დასკვნა?

- (ა) კოლობის რეგიონი უფრო გვალვიანია, ვიდრე ავალონის რეგიონი.
- (ბ) ავალონის რეგიონში უფრო ნაყოფიერი ნიადაგია, ვიდრე კოლობის რეგიონში.
- (გ) ავალონის რეგიონში სოფლის მეურნეობას უფრო მეტი პრიორიტეტი აქვს, ვიდრე კოლობის რეგიონში.
- (დ) კოლობის რეგიონი ავალონის რეგიონის ნაწილია.
- (ე) ავალონის რეგიონში უფრო ნაკლებადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა, ვიდრე კოლობის რეგიონში.

#### ამოცანა 4.

პოპულარული თეორიის თანახმად:

*ე. წ. ბერმუდის სამკუთხედი, რომელსაც „ემშაკის სამკუთხედსაც“ უწოდებენ, განსაკუთრებულად ანომალიური ტერიტორიაა. აქ ხშირად ფიქსირდება „პარანორმალური“ მოვლენები. მრავალი გემი და თვითმფრინავი გაუჩინარებულა ამ ზონაში. ამას ხან მითიური ატლანტიდით ხსნიან, ხან გაურკვეველი გეომანტიური ანომალიებით, ხან უცხოპლანეტელთა ჩაძირული ბაზის არსებობით.*

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი აყენებს **ეჭვქვეშ** პოპულარული თეორიის მართებულობას?

- (ა) ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობის საზღვაო და საჰაერო მარშრუტი გადის.
- (ბ) ამ ტერიტორიაზე ხშირად წარმოიქმნება ანომალიური შტორმები და ციკლონები.
- (გ) ამ ტერიტორიაზე იპოვეს ფრანგული გემი, რომელიც დაუზიანებელი იყო, თუმცა ეკიპაჟის ვერცერთი წევრი ვერსად ნახეს.
- (დ) ამ ტერიტორიაზე ყოფნისას ერთ-ერთი თვითმფრინავის ეკიპაჟმა გაგზავნა შეტყობინება, რომ ის მიმართულებას ვერ ადგენდა, თუმცა ოკეანე ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის.
- (ე) ამ ტერიტორიაზე მოხვედრილი მოგზაურები ხშირად შენიშნავდნენ, რომ მათი კომპასები მწყობრიდან გამოდიოდა.

## ამოცანა 5.

მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

- I. ყველა არქიტექტორს შეუძლია ხაზვა და ყველა ინჟინერს შეუძლია რთული გამოთვლების ჩატარება. რობერტი არქიტექტორიც არის და ინჟინერიც. შესაბამისად, მას შეუძლია ხაზვაც და რთული გამოთვლების ჩატარებაც.
- II. A ნივთიერებასთან ტოქსიკური ნივთიერებების შერევის შედეგად მიიღება არატოქსიკური ნივთიერება. შესაბამისად, რაიმე ნივთიერების A-სთან შერევის შედეგად ტოქსიკურ ნივთიერებას ვერ მივიღებთ.
- III. საკონდიტროს ყოველი ნამცხვარი ან ძალიან გემრიელია, ან უგემური. წვეულებაზე ყველა ნამცხვარი ამ საკონდიტროდან არის მოტანილი. შესაბამისად, ამ წვეულებაზე ან ყველა ნამცხვარი ძალიან გემრიელია, ან ყველა ნამცხვარი – უგემური.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) სამივე

## ამოცანა 6.

მოცემულია:

- ვისაც სპეციალური მომზადება არ გაუვლია, მას არც დაბრკოლება გადაულახავს. ვისაც დაბრკოლება არ გადაულახავს, მას არც ფინიშამდე მიუღწევია.


ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ვინც ფინიშს არ მიაღწია, მას სპეციალური მომზადება არ გაუვლია.
- (ბ) ვინც სპეციალური მომზადება გაიარა, მან ფინიშამდე მიაღწია.
- (გ) ვინც ფინიშს მიაღწია, მას სპეციალური მომზადება გაუვლია.
- (დ) ვინც დაბრკოლება გადალახა, მას სპეციალური მომზადება აქვს გავლილი და ფინიშამდეც მიაღწია.
- (ე) ვინც სპეციალური მომზადება გაიარა, მას დაბრკოლებაც გადაულახავს, თუმცა, შესაძლოა, ფინიშამდე არ მიუღწევია.



## ამოცანა 7.

ერთ საღამოს 5 სხვადასხვა საათს ერთდროულად გადაუღეს სურათი (იხ. ქვემოთ). იმ მომენტში ერთი მათგანი წინ იყო 15 წუთით, ერთი უკან – 15 წუთით, დანარჩენი სამი კი საერთოდ გაჩერებული იყო.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი არის ის დრო, როდესაც ამ საათებს ეს სურათი გადაუღეს. რომელია ეს დრო?

- (ა) 17:00
- (ბ) 17:15
- (გ) 18:15
- (დ) 18:55
- (ე) 19:05

## ამოცანა 8.

ცნობილია, რომ ლოკები ყოველთვის იტყუებიან, ხოლო პრაიმები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ. წვეულებაზე, სადაც თქვენ გარდა მხოლოდ ლოკები და პრაიმები არიან, შეგხვდათ ორი ადამიანი. პირველმა მიგითითათ მეორეზე და წარმოთქვა წინადადება:

„მე ლოკი ვარ და ის კი პრაიმია.“

რომელი დასკვნის გამოტანა არის შესაძლებელი?

*შენიშვნა: ყოველმა ლოკმა და ყოველმა პრაიმმა ზუსტად იცის, თუ ვინ ლოკია და ვინ – პრაიმი.*

- (ა) პირველი ლოკია, ხოლო მეორე – პრაიმი.
- (ბ) პირველი პრაიმია, ხოლო მეორე – ლოკი.
- (გ) ორივე პრაიმია.
- (დ) ორივე ლოკია.
- (ე) შეუძლებელია ცალსახად იმის დადგენა, ამ ორიდან რომელია პრაიმი და რომელი – ლოკი.


## ამოცანა 9.

გვაქვს 7 გაუხსნელი რგოლისგან შედგენილი ოქროს ჯაჭვი. ამ რგოლების საშუალებით უნდა შევიძინოთ ნივთი, რომლის საფასურიც არის რგოლების გარკვეული რაოდენობა 1-დან 7-მდე (ზუსტად რამდენი, წინასწარ უცნობია). მხოლოდ ერთი რგოლის გახსნაა საკმარისი იმისათვის, რომ შემდეგში უკვე რგოლების გაუხსნელად შევძლოთ შესაძენი ნივთის საფასურის ზუსტად გადახდა.

ჩამოთვლილთაგან რომელია ასეთი რგოლი?

*შენიშვნა: ყოველ გახსნილ და გაუხსნელ რგოლს ერთი და იგივე ღირებულება აქვს.*

- (ა) 1-ლი
- (ბ) მე-3
- (გ) მე-4
- (დ) მე-6
- (ე) მე-7



## ამოცანა 10.

სტატისტიკის მიხედვით, ის აბონენტები, ვისაც წყლის მოხმარების მრიცხველი ჰქონდათ, საშუალოდ უფრო ნაკლებ გადასახადს იხდიდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც მრიცხველი არ გააჩნდათ და გადასახადს სულადობრივად იხდიდნენ. ამის გამო, დიმიტრიმ, რომელიც სახლში მარტო ცხოვრობდა, გადაწყვიტა წყლის მრიცხველის დაყენება. ამის შემდეგ მას წყლის გადასახადი გაეზარდა, რის გამოც მან დაასკვნა, რომ დაყენებული მრიცხველი გაუმართავი იყო.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დააყენებს ეჭვქვეშ დიმიტრის დასკვნის მართებულობას?

- (ა) მრიცხველის დაყენების შემდეგ დიმიტრიმ საკმაოდ შეამცირა წყლის მოხმარება.
- (ბ) დიმიტრის ამ პერიოდში ასევე გაეზარდა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მოხმარების გადასახადები.
- (გ) მოცემულ პერიოდში წყლის მოხმარებაზე გადასახადი არ შეცვლილა.
- (დ) დიმიტრიმ მრიცხველის დაყენებისას სახლში შეაკეთა ძველი მილი, რომლიდანაც ადრე მუდმივად ჟონავდა წყალი.
- (ე) დიმიტრიმ ამ პერიოდში სახლის ერთი ოთახი გააქირავა, რის გამოც მისი კომუნალური გადასახადების ხარჯი გაიზარდა.

## ამოცანა 11.

სასტუმროს აქვს ოთხი ნომერი: ლუქსი, დელუქსი, აპარტამენტი და საპრეზიდენტო. ამ სასტუმროს სამი ნომერი სამმა – A, B და C – სტუმარმა უნდა დაიკავოს, თითოეული – თითო, ხოლო მეოთხე ნომერი დარჩება ცარიელი. ცნობილია, რომ:

- დელუქსი არ უნდა დარჩეს ცარიელი.
- თუ A დელუქსს დაიკავებს, მაშინ B-მ ლუქსი უნდა დაიკავოს.
- თუ B არ დაიკავებს არც ლუქსს და არც საპრეზიდენტოს, მაშინ A-მ დელუქსი უნდა დაიკავოს.
- თუ C არ დაიკავებს არც ლუქსს და არც აპარტამენტს, მაშინ B-მ დელუქსი უნდა დაიკავოს.

ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს სწორად სტუმრების ნომრებში განაწილებას?

- (ა) A დელუქსს დაიკავებს, B – აპარტამენტს.
- (ბ) A დელუქსს დაიკავებს, C – საპრეზიდენტოს.
- (გ) A საპრეზიდენტოს დაიკავებს, C – ლუქსს.
- (დ) B დელუქსს დაიკავებს, C – საპრეზიდენტოს.
- (ე) B ლუქსს დაიკავებს, C – აპარტამენტს.

### ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

საახალწლო განათებაზე 6 სხვადასხვა ფერის – იისფერი, ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი, ყვითელი და წითელი – ნათურებია. ერთი და იმავე ფერის ნათურებიდან ყველა ერთდროულად ანთია, ან ერთდროულად ჩამქრალია. ცნობილია, რომ:

- როცა იისფერი ნათურები ანთია, ყვითლები ჩამქრალია.
- თუ წითელი ნათურები ანთია, მაშინ იისფერი ნათურებიც ანთია.
- თუ ნარინჯისფერი ნათურები ჩამქრალია, მაშინ ლურჯი ნათურები ანთია.
- როცა მწვანე და ლურჯი ნათურებიდან ერთი ფერის მაინც ანთია, მაშინ ყვითელი ნათურებიც ანთია.

---

### ამოცანა 12.

თუ იისფერი ნათურები ანთია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მცდარი?

- (ა) მწვანე ნათურები ჩამქრალია.
- (ბ) ყვითელი ნათურები ჩამქრალია.
- (გ) ნარინჯისფერი ნათურები ანთია.
- (დ) წითელი ნათურები ანთია.
- (ე) არაუმეტეს სამი სხვადასხვა ფერის ნათურა ანთია.

---

**ამოცანა 13.**

თუ მხოლოდ ერთი ფერის ნათურები ანთია, მაშინ რა ფერისაა ეს ნათურები?

- (ა) იისფერი
- (ბ) ლურჯი
- (გ) მწვანე
- (დ) ნარინჯისფერი
- (ე) ყვითელი

---

**ამოცანა 14.**

მაქსიმუმ რამდენი სხვადასხვა ფერის ნათურა შეიძლება ენთოს ერთდროულად?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5
- (ე) 6

**ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:**

ფოლკლორულ კონცერტზე ანსამბლმა ერთმანეთის მიმდევრობით სულ 7 ნომერი უნდა შეასრულოს. აქედან 3 ვოკალური ნომერია: x, y და z; ხოლო დანარჩენი 4 კი – ქორეოგრაფიული: A, B, C და D. კონცერტის მიმდინარეობისას უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

- ერთმანეთის უშუალო მიმდევრობით შესრულებული ყოველი ორი ნომრიდან ერთი მაინც არ უნდა იყოს ქორეოგრაფიული.
- y უფრო ადრე უნდა შესრულდეს, ვიდრე C.
- B-სა და C-ს შორის ზუსტად ერთი ნომერი უნდა შესრულდეს.
- x და B უნდა შესრულდეს ერთმანეთის მიყოლებით, ნებისმიერი მიმდევრობით.
- თუ A უფრო ადრე შესრულდება, ვიდრე z, მაშინ x უნდა შესრულდეს A-ს უშუალოდ შემდეგ.

---

**ამოცანა 15.**

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ასახავდეს სწორად კონცერტზე შესრულებული ნომრების მიმდევრობას?

- (ა) z, y, B, D, C, x, A
- (ბ) D, z, A, y, B, x, C
- (გ) B, x, D, z, A, y, C
- (დ) C, x, B, y, D, z, A
- (ე) A, y, D, z, B, x, C



---

**ამოცანა 16.**

თუ კონცერტზე შესრულებული მესამე ნომერი იყო B, მაშინ რომელი ნომერი უნდა შესრულდეს მეექვსე?

(ა) A

(ბ) D

(გ) x

(დ) y

(ე) z

---

**ამოცანა 17.**

ჩამოთვლილთაგან რომელი ნომერი შეიძლება შესრულებულიყო პირველი?

(ა) A

(ბ) B

(გ) C

(დ) x

(ე) z

ტესტის დასასრული